

## დაბრუნება რუსულად, პრობლემები ფრანგულად

*თორნიკე შარაშენიძე*

*ვიპას საერთაშორისო პოლიტიკის პროგრამის კოორდინატორი*

### კასპისპირა vs. ტრანსკასპიური

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტმა პირველად გახადა შესაძლებელი კასპის ენერგორესურსების რუსეთის გვერდის ავლით ტრანსპორტირება. მაშინ, როცა ეს პროექტი ჩაფიქრებულ და განხორციელებული იქნა, რუსეთი დღევანდელთან შედარებით გაცილებით უფრო სუსტი იყო. პროექტმა მონიპოლია დაანგრია, მაგრამ არცთუ ისე მნიშვნელოვნად – იმთავითვე ცნობილი იყო, რომ აზერბაიჯანული ნავთობის მოცულობა საკმარისი არ იქმებოდა მილსადენის სრული დატვირთვისათვის. მონოპოლიის სერიოზული შერყევისათვის საჭირო იყო, რომ მილსადენის მეშვეობით ყაზახური ნავთობიც წასულიყო. ანალოგიური ითქმის გაზზეც. ბაქო-თბილისი-ერზრუმის პროექტს მაშინ ჰქონდა მონოპოლიის დანგრევის შანსი, თუკი აზერბაიჯანულ გაზთან ერთად მილსადენი ისევ და ისევ შუა აზიის (ამჯერად ყაზახეთის) გაზს გაატარებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მილსადენების მნიშვნელობა და მასშტაბი რეგიონს პრაქტიკულად არ გასცდებოდა.

ორიოდ დღის წინ მონოპოლიის დანგრევის პროექტს სერიოზული საფრთხე დაემუქრა. ეს საფრთხე არც ისე მოულოდნელი იყო, თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ რუსეთი დღეს გაცილებით უფრო ძლიერად გრძნობს თავს, ვიდრე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის განხორციელებისას და რომ რუსეთი ენერგეტიკულ ბერკეტებს სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებს თავისი გავლენის გაფართოების საქმეში.

გასულ კვირას პუტინმა შუა აზიაში ერთკვირიანი ტურნე წამოიწყო. უკვე ეს ფაქტი სერიოზული მანიშნებელი იყო, რომ მონოპოლიის პროექტს საფრთხე ელოდა. რუსეთის პრეზიდენტი ერთი კვირით არსად წავა, თუკი ამ ტურნედან მისთვის რაიმე მეტად მნიშვნელოვანს და სასარგებლოს არ ელის. ცხადი იყო, რომ შუა აზიაში საუბარი წავიდოდა გაზის ტრანსპორტირების პროექტზე. გამომდინარე იქიდან, რომ ბოლო პერიოდში შუა აზიის ქვეყნები (უპირველესად კი ყაზახეთი) არც ისე დიდ ენთუზიაზმს ამჟღავნებდნენ ტრანსკასპიური გაზსადენის პროექტთან დაკავშირებით (რომლის მეშვეობითაც თურქმენული გაზი აზერბაიჯანამდე, იქიდან კი უკვე თურქეთის გავლით ევროპაზე უნდა წასულიყო), ისევ და ისევ ცხადი იყო, რომ პუტინს მასპინძლებისგან საჩუქარი ელოდა – გაზსადენი რუსეთის გავლით. საჩუქარი გაკეთდა. ხელი მოეწერა დელკარაციას, რომელშიც სამი ქვეყნის (რუსეთი, ყაზახეთი, თურქმენეთი) ლიდერი თავის მთავრობებს ავალებს 1 სექტემბრამდე მომზადონ ხელშეკრულება კასპისპირა გაზსადენის პროექტის თაობაზე. ეს გაზსადენი თურქმენეთიდან ყაზახეთის გავლით რუსეთზე გავა. პროექტში მონაწილეობენ შუა აზიის გაზით ყველაზე მდიდარი ქვეყანა, შუა აზიის ლიდერი და ყოფილი საბჭოთა სივრცის უძლიერესი ქვეყანა.

პუტინის ტურნემდე ერთი კვირით ადრე თურქმენეთის პრეზიდენტმა ბერდიმუჰამედოვმა თავისი ქვეყნის კუთვნილ კასპის სექტორზე ამერიკული ნავთობბიზანტი “შეგრონი” დაუშვა. “შეგრონს” კასპის შუა აზიურ საბადოებზე

მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს (სწორედ იგი დამკვიდრდა თავის დროზე ყაზახეთის კუთვნილ თენგიზის საბადოზე). მისი დაშვება თურქმენეთის მხრიდან კიდევ ერთი იმის მაჩვენებელი სიგნალი უნდა ყოფილიყო, რომ ქვეყანა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით გამოწვეული იზოლაციის გარღვევას ცდილობს. ბერდიმუჰამედოვისგან სიგნალები მას შემდეგაც არ შეწყვეტილა, რაც მან ზემოთნახსენებ დეკლარაციას მოაწერა ხელი. “კასპიისპირა გაზსადენის პროექტი არ გამოირიცხავს ტრანსკასპიური პროექტის განხორციელებას,” - განაცხადა მან. იმისათვის რათა გავიგოთ რამდენად რეალური ეს განცხადება, სტატისტიკას უნდა გადავხედოთ: გასული წლის პირველ ნახევარში თურქმენეთმა 33,68 მილიარდი კუბური მეტრი გაზი მოიპოვა (აქედან რუსეთში ექსპორტირებულ იქნა 21 მილიარდი). წელს მთლიანი მაჩვენებელი 71.1 მილიარდზე უნდა ავიდეს. 2030 წელს მოპოვებამ 250 მილიარდი უნდა შეადგინოს (ასე იმედოვნებს თურქმენეთის ხელმძღვანელობა). თუკი ყველაფერი გეგმის მიხედვით წავიდა, დაახლოებით ოთხ წელიწადში მოპოვება 100 მილიარდზე ავა. ეს კი უკვე საკმარისი იქნება, რათა გაზი ტრანსკასპიური გაზსადენითაც წავიდეს (ამ გაზსადენის აგებას კი ამდენი დრო ალბათ დასჭირდება). “გაზი საკმარისია, სანერვიულო არაფერია,” - განუცხადა ჟურნალისტებს ბერდიმუჰამედოვმა. გაზი მართლაც საკმარისია (22 ტრილიონი კუბური მეტრი), მაგრამ იმისათვის რათა მოპოვების მოცულობა გაიზარდოს, უცხოური ინვესტიციებია საჭირო. “შევრონის“ დაშვება მოწმობს, რომ თურქმენეთი ინვესტიციებზე უარს არ იტყვის. მაგრამ საჭიროა კიდევ ერთი რამ – რუსეთს არ უნდა ჰქონდეს თურქმენული გაზის შეუზღუდავი რაოდენობით შესყიდვის საშუალება. თუკი ბერდიმუჰამედოვს მართლაც სურს ქვეყანა მხოლოდ რუსულ კორიდორზე არ იყოს მიბმული, მაშინ ამგვარ კაბალაზე უარი უნდა თქვას.

საინტერესოა, რომ კასპიისპირა გაზსადენის იდეა 2003 წელს განსვენებულმა თურქმენბაშიმ, ნიაზოვნა წამოაყენა. გასულ წელს კი ნიაზოვნა თავისი გაზი ჩინეთსაც შესთავაზა და რამდენიმე თვეში მოულოდნელად გარდაიცვალა. ბერდიმუჰამედოვი ჯერჯერობით უარს არ ამბობს არც რუსეთთან, არც ჩინეთთან და არც დასავლეთთან თანამშრომლობაზე. გაზი საკმარისია? ალბათ. მაგრამ დრო არ არის საკმარისი. მოკლევადიან პერსპექტივაში რუსეთის ენერჯობერკეტები კიდევ უფრო ძლიერდება და ევროპა კვლავაც კრიტიკულად დამოკიდებული რჩება “გაზპრომზე.” თავის მხრივ “გაზპრომი” კრიტიკულადაა დამოკიდებული თურქმენულ გაზზე, მაგრამ კასპიისპირა მილსადენი მას ყველა პრობლემას მოუხსნის.

ყოველივე ამაში თურქმენეთის დადანაშაულება ნამდვილად არ შეიძლება. 90-იან წლებში რუსეთი შედარებით სუსტი იყო და მონოპოლიის დანგრევის პროექტი მაშინ ჩაისახა. მაგრამ პროექტი ერთობ მრავალსაფეხუროვანი იყო და სანამ იგი ძირითად ეტაპზე გადავიდა, რუსეთი მოძლიერდა...

არსებობს მონოპოლიის სერიოზულად შერყევის კიდევ ერთი შანსი – სამხრეთ კავკასიურმა კორიდორმა ირანის ენერჯორესურსები უნდა გაატაროს. ეს მეტად რთული ამოცანაა. არადა, მისი განხორციელება ხდება როგორც რუსეთის მონოპოლიის შერყევა, ასევე ირანის იზოლაციიდან გამოყვანა, რაც საუკეთესო გზაა ამ ქვეყანასა და საერთაშორისო საზოგადოებას შორის საერთო ენის გამონახვისათვის.

ფრანგული ენიგმა

სარკოზი პირველია. არის თუ არა სარკოზი პროამერიკული? ალბათ არის. ნიშნავს თუ არა ეს, რომ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა ატლანტიზმისკენ გადაიხრება? რთული სათქმელია. მოახერხებს თუ არა სარკოზი ქვეყნის ეკონომიკის გამოცოცხლებას? ეს კიდევ უფრო რთული სათქმელია.

საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში სოციალისტი რუაიალი დამარცხდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დამარცხდა სოციალიზმი. ცხადია, სოციალიზმში არ იგულისხმება საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული პრაქტიკა. იგულისხმება სისტემა, რომელშიც ხდება სიმდიდრის უფრო თანაბარი გადანაწილება სახელმწიფოს გარკვეული ჩარევის ხარჯზე. “სოციალიზმის დროს მშრომელი რაღაც ფორმით იღებს უკან იმ შრომის ოდენობას, რომელსაც სხვა ფორმით აძლევს საზოგადოებას,” - წერდა თავის დროზე მარქსი. ცხადია, ზუსტად იმავე ოდენობის მიღება იდეალური ვარიანტია, რომელიც რეალობისგან ყოველთვის შორს დგას, მაგრამ ქვეყანა, რომელმაც თავის დროზე მთელ მსოფლიოს მოსდო სლოგანი “თავისუფლება, თანასწორობა. ძმობა,” არ შეიძლება ამგვარმა იდეალიზმმა არ მოხიბლოს.

საფრანგეთში საუკეთესო (ან ერთ-ერთი საუკეთესო) სოციალური დაცვის პირობებია შექმნილი. ბოლო ათი წლის განმავლობაში მინიმალური ხელფასი ორი მესამედით გაიზარდა. სამუშაოდან გათავისუფლებული ადამიანი 22 თვის განმავლობაში იღებს დახმარებას, რომელიც საშუალოდ 965 ევროს შეადგენს.

მაგრამ მედაღს მეორე მხარეც აქვს. 956 ევრო სულ 2%-ით ნაკლებია მინიმალურ ხელფასზე. გასაგებია ასეთ დახმარებას რა შედეგიც მოჰყვება – ბევრი უმუშევარი ფრანგი (მათი რაოდენობა კი უკვე 2,3 მილიონს შეადგენს) სამუშაოს ძებნით თავს საერთოდ არ იწუხებს. ვითარების გამოსასწორებლად მთავრობამ პრემიაც კი დააწესა – 1000 ევრო იმათთვის, ვინც სამსახურიდან გათავისუფლებიდან წლის განმავლობაში დასაქმებას მოახერხებს. მაგრამ საქმეს ესეც ვერ შევლის. სახელმწიფო ყოველთვიურად 441 ევროს უხდის მათ ვისაც, არასოდეს უმუშავია და ამგვარი დახმარების მუშტართა ოდენობა 1,1 მილიონს აღწევს. 2000 წლიდან სახელმწიფო ანაზღაურებს უმუშევართა და ღარიბთა სამედიცინო მომსახურებას.

ამგვარი ფუფუნება ცხადია ძვირი ჯდება. შედეგი ისაა, რომ სახელმწიფო გასავლის 60% სოციალურ პროგრამებზე მიდის. სახელმწიფო ბიუჯეტზე კი მთლიანი შიდა პროდუქტის 52% მიდის. ანუ, მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის ერთი მესამედი სოციალურ დახმარებას ხმარდება. ეს მართლაც ჰგავს იმ სოციალიზმს, რომელზეც მარქსი საუბრობდა. მაგრამ ეს გასავალი მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის ეკონომიკას, უმუშევართათვის დაწესებული მაღალი კომპენსაციის შედეგი კი თავის თავზე უკვე იწვნია გერმანიამ. შრიოდერის ანალოგიურმა პოლიტიკამ უმუშევრობის მაჩვენებელი გერმანიაში 10%-ზე ზემოთ აიყვანა. ასე რომ გასაკვირი არ არის ის, რაც საფრანგეთში ახლა ხდება.

სარკოზი მემარჯვენეა და წესით ვითარება უნდა შეცვალოს. მის გეგმაში შედის გადასახადების შემცირება და ამგვარად სამეწარმეო კლიმატის გაუმჯობესება. მაგრამ გადასახადების შემცირებას ალბათ სოციალური დახმარებების შეკვეცაც მოჰყვება. ამას კი საფრანგეთში მოწონებით ნამდვილად არ შეხვდებიან. არადა, საფრანგეთს ისედაც უზარმაზარი შიდა ვალი აქვს და მისი კიდევ უფრო გაზრდის ხარჯზე გადასახადების დაწევა ასევე ძნელი წარმოსადგენია.

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი გზა: სარკოზიმ მწვავე განცხადება გააკეთა ევროპის ცენტრალური ბანკის მისამართით. მისი თქმით, ბანკის პოლიტიკას სერიოზული წვლილი შეაქვს საფრანგეთის ეკონომიკურ პრობლემებში. “ბანკი შეპყრობილი ინფლაციასთან ბრძოლის იდეით, რომელიც არ არსებობს,” - განაცხადა საფრანგეთის ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა და ახლანდელმა პრეზიდენტმა. ამ ნათქვამში გარკვეული სიმართლის მარცვალი ნამდვილად არის. ევროს შემოღების ალბათ პირველივე დღიდან ევრობანკი უპირველესად სწორედ ინფლაციასთან ბრძოლით არის დაკავებული და ამის გამო საპროცენტო განაკვეთი ყოველთვის საკმაოდ მაღალია ხოლმე. მაღალი განაკვეთები კი სამეწარმეო კლიმატს ხელს არ უწყობს. მაგრამ ამავე დროს, ევრობანკის პოლიტიკა საფრანგეთისგან განსხვავებით ასე მნიშვნელოვნად არ აზარალებს იგივე გერმანიას, რომლის ეკონომიკაც აღმავლობას განიცდის.

ევრობანკის კრიტიკას აღშფოთებული გამოხმაურება მოჰყვა ევროპელი ფინანსთა მინისტრების მხრიდან, რომელთაც საფრანგეთის პრეზიდენტის გამოსვლა ევრობანკის დამოუკიდებლობის შელახვის მცდელობად მიიღეს. განსაკუთრებული უკმაყოფილება გერმანიამ გამოხატა. “ევრობანკის კონტროლი დაუშვებელია,” - განაცხადა ამ ქვეყნის ფინანსთა მინისტრმა. სარკოზის პოზიცია რადიკალურად ეწინააღმდეგება გერმანიის კანცლერ მერკელის პოზიციისგან, რომელიც მიიჩნევს, რომ ბანკის დამოუკიდებლობა ევროს სიმყარის უმთავრესი ბურჯია. საერთოდ, სარკოზის ხელში გერმანიისთან ურთიერთობა შეიძლება სარც ისე იდეალური იყოს. ოდესღაც სარკოზიმ ხელი შეუშალა “სიმენსის” მიერ “ალსტომის” შესყიდვის გარიგებას, რითაც ცხადია ბერლინის დიდი კმაყოფილება არ გამოუწვევია. გასულ კვირას გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ (რომელსაც მერკელი წარმოადგენს), განაცხადა რომ მტკიცედ დაიცავს თავისუფალი ვაჭრობის წესებს და საპასუხო ზომებს მიიღებს იმ მთავრობათა წინააღმდეგ, რომლებიც გერმანიის კომერციულ ინტერესებს პროტექციონიზმით შეეწინააღმდეგებიან. გასაგებია, ამ ზომების ობიექტად რომელი მთავრობაც შეიძლება იქცეს.

ფინანსთა მინისტრები შიშობენ, რომ სარკოზიმ შესაძლოა ევრობანკის წესდების შეცვლა მოითხოვოს და მისი საქმიანობის აქცენტი ეკონომიკურ ზრდაზე გადაიტანოს. ცხადია, პარიზი მარტოდ წესდების შეცვლას ვერ მოახერხებს. მაგრამ არაა გამორიცხული ამის სანაცვლოდ სარკოზიმ ევროპას საფრანგეთის მიერ ჩაგდებული ევროკავშირის კონსტიტუციისადმი მხარდაჭერა შესთავაზოს. ეს უკვე ვითარებას ცვლის. თუმცა, ევრობანკის დამოუკიდებლობას ძველი კონტინენტი იმდენად შეეგუა, რომ ამგვარი გარიგებაც ძნელი წარმოსადგენია. ევროკავშირის კონსტიტუციისადმი მხარდაჭერა თავის მხრივ გარკვეულ წინააღმდეგობაში მოვა სარკოზის პოზიციასთან, რომელიც კავშირში თურქეთის მიღების წინააღმდეგია.

სარკოზის მიერ ეკონომიკური პოლიტიკის პროტექციონიზმზე დაფუძნება და ევრობანკზე შეტევა ევროპის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობათა გართულებას ნიშნავს. შესაძლოა ეს იმით იქნას ახსნილი, რომ ახალი პრეზიდენტი აშშ-სთან დაახლოებაზე აკეთებს აქცენტს. ამერიკასთან ახლო ალიანსში საფრანგეთი მართლაც გაიმყარებს პოზიციებს. თუკი პარიზი უარს იტყვის გოლიზმზე (რომელიც ჟაკ შირაკის დროს განსაკუთრებით დაიხვეწა) და აშშ-სთან თითქმის ყველა საკითხზე დაპირისპირების ნაცვლად ვაშინგტონის სერიოზულ დასაყრდენად იქცევა ევროპაში, მაშინ საფრანგეთის როლი საერთაშორისო საქმეებში უდაოდ აიწევს. მაგრამ როგორ მიიღებენ ამას ფრანგები, რომელთა ეროვნული თვითშეგნება უკვე მერამდენე ათწლეულის განმავლობაში

მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკით იკვებება? ამის გაკეთება ალბათ კიდევ უფრო რთული იქნება ვიდრე ეკონომიკური აღმავლობის მიღწევა.